



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ეკისამნის
ცენტრული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორბელიანი

კრებული

გრიგოლ ორბელიანი
კრებული

სო... ორ...

ვარდი ხარ? — არა! ზამბახი? — არა! მარამ, შენ ღაწვთზე აღყვავებულნი, არიან ორნივ შეზავებულნი! ნეტარ მას ბულბულს, ვინც შენს ვარდს, ზამბახს ზედ დამღერს მარად, ვით ეშეის ბანაკს; ვინც დასუნოსა თმა ლადანასა, დაუდევნელად ბროლ მკერდზე გაშლილს; ანუ შეეხოს შენს წელს კიპაროზს, სიყვარულისა სარტყელით მოვლილს, სიცოცხლე მისი, ვითა მაისი ნეტარებითა აჰყვავდეს ახლად, და ვითა დილა გაზაფხულისა, საამოდ განვლონ მის დღეთა ნათლად! ეგ ორნი თვალნი, ორნი ვარსკვლავნი, ეშეის სადგურნი ბრწყინვენ გონებით, მათ ტრფიალებით მიჰმართავ ვისცა, განიხსნას მისთვის სიხარულის ცა! შენთა სიტურფეთ, როს გუნდნი მოტრფეთ, ვით ფარვანანი გარე დაპფრინვენ, და შექცევაში, სიამის ზღვაში, გონება გართულს რომ მიგიზიდვენ, — მე განშორებულს, სვე გამწარებულს მაშინ გონებით თუ დამივიწყებ, არ შევინანებ, ოღონდ კი შენს გულს ზოგჯერ ვახსოვდე ჩემდამო ერთგულს! 1835 წ.

სადღეგრძელო

ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს შესწყდა ბინდისას ომი საზარი, დადუმდა არე, სად ჰქუბდა ბრძოლა; გამარჯვებითა მოილხენს ჯარი; ურდო ცეცხლებით განათებულა! აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა, ვითა ნუგეშსა მოგვფენს საშვებლად; შევექცეთ, ვინც დღეს გადურჩით ომსა; კვლავცა გვექმნების ზეცა მფარველად! ძმანო, მორიგის სავსე ფიალით, ჩვენცა მოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს; ვესალმოთ, ვინცა სიკვდილის ხელით დაეცნენ ომში დღეს რისხვით წასულს! და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო, ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე; გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო, ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინე! მხედარნი ჰოი, შენ ღვინოვ, ყოვლად ძლიერო, ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე; გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო, ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინე? სადღეგრძელო ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად, რომელთა დაჰსდვეს

სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად, რომელთა სახე დიდების სხივს
მოგვფენს გასამხნევებლად, რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს
ცად მაღლად! ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა
ჰშთომილი, რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს ძერალი, —
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი, გზა ცხოვრებისა
ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი! ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს,
სადა ჰსცხოვრობდენ ძველ-გმირნი? დრომან შემუსრა, აღჰგავა მიწით
მათნიცა საფლავნი; მარამ, ჰსცოცხალან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი! ძმანო, პატივით
მივმართოთ თვალნი წარსულთა ძველთა საუკუნეთა, მათში სახელნი
ჰსჩანან ნათელნი გმირთა, მამულის განმადიდეთა!.. ეს ვინ გამოჩნდა?
ვისი აჩრდილი დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა? ნუთუ ვეღარა უცვნია
შვილი... მისგან აღზრდილი ტრფიალებითა? შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ
ერთ-მთავრობა, შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი, შენ დაუმკვიდრე
ერსა ერთობა და ერთობისა წესი და ძალი! და ივერიის აღჩნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით, შორსა განითქვა მისი გმირობა და მის
მეფენი დიდების ბრწყინვით! ქრისტეს ნათელით განათლებული, მეფე
მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით, ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეჰქმუსრავს კერპთა მათის ბომონით! და განჰქრა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმუნება; ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!.. მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით? ვით ბრძოლის ღმერთი,
თვით მბრძანებელი, მზად არს საომრად სახე-შერისხვით! ესე არს გმირი
ის გორგ-ასლანი, რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ,
მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი, მტერთა შელეწდენ და
შემუსვრიდენ! ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა, მეფედ
მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა, მხედართ-
მთავარსა უძლეველს, გულ-მოწყალესა მსაჯულსა. ზე-ჩაგონებით
გასწავლულს, ენა მდინარე მეტყველსა!.. დავით ჰსთქვი: “იყავ ქალაქნი!”
და აღმოცენდნენ ქალაქნი! განკვლე უდაბნო ოხერი, — სავსედ დაბებით

შეჰქმენი! დაჰკარ წერაქვი, — და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნი! მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი! ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული, დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული!.. აღმხედრდი ლაშქრად, — და ილტვის სულთანი შეძრწუნებული, შირვან, დერბენდი ჰყავ სამზღვრად, შენი ხმლით შემოხაზული ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი, თვალნი სიამის გამომაცენნი, სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი, თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი! ვითარცა ღმერთა მშვენიერების,

ქველ-მოქმედების, სახიერების, ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი! სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი, უპყრავს დიდებას და სათნოებას; წინაშე მისსა ძლევა და მუზნი განადიდებენ მისსა მეფობას! მის დროშას მოჰკილევს დიდი ორბელი, შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი; მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი და გამრეკელი, ლომებრ გულადი! თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი; კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი, მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი, ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი! მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით, და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით... თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის უხვებით; გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროება წყალობით!.. გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა, ერთის შეტევით მილეწეს! ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში გარდაგდეს, განვლეს არეზი , თავრიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს, და მტვერი გაოხრებისა, ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს! დრონი იცვალნენ... იხილეთ ქეთევან ნაზად აღზრდილი, მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი, ხორც-დაგლეჯილი შანგებით, მკერდზედა ცეცხლ- ანთებული, სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმსვლელი! ნათელ გვირგვინით მოჰკილენან კახეთის მხსნელნი გმირები ელისბარ, შალვა, ბიძინა მტარვლისგან დატანჯულები!.. ტარიგად შესაწირავათ

მახვილით განგმირულები, ღმერთს ავედრებენ მამულსა მათ უკანასკნელ სიტყვები! აპა, ცხრა ძმანი, სახელ-განთქმულნი, ძმანი გულითად შეთვისებულნი; ვით წმიდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი. ერთ ჟამს, ერთს ომში ერთად დაკლულნი.

აპა, ერთ-გული ამილახვარი

თავდადებითა მეფისთვის მკვდარი!.. და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი, თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!.. აპა, სჯულისა წიგნითა ვახტანგ სვე- დამწარებული. სწავლის მოყვარე, მფარველი, გონება ამაღლებული! უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი, დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული! აპა, ივერის ნუგეშ-დიდება, თვისის დროისა გამშვენებელი, მამაცთა შორის საკვირველება, პატარა კახი, მეფე ირაკლი!

წარბშეჭმუხვნილნი, ხმალ-ხელ

მოწვდენით, ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა! ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა! დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს, მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ვეღარ ვმზერთ მისს სახეს! მამული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს, დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს! მეფისა დროშით სად მიხვალ, ჰე, ლევან,

სულით ნათელო? შენ მხოლოდ

მამის იმედო, უდროდ მზე დაბნელებულო! მსხვერპლო ბნელისა მტერობის, შეუბრალებით შეჭმულო!.. შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ლომ-გულო. რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა? მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა! ოცდარვა დღეა, რაც ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა! გაჭირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხსნელისა? ორასის მხედრით სოლომან, ოთარი და რატიშვილი, ნოდარის ძენი, და ბოსტა , დავით და ბებურიშვილი გაჩნდნენ... დაჰკივლეს... ხმალ და ხმალ შუა გააპეს ლეკა ძალი და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი! დიდებულ სახით, გულუშიშარი ვინ არს, რომ მისგან მტერი იშიშვის? ჯარის იმედი, მტკიცე საფარი, ძლევა მის დროშას წინა მიუძღვის! შენ ხარ, ჰე დავით, გმირი ლომგული, ვინც იყავ მტრისთვის, ვით ცისა რისხვა; მარჯვენას გეპყრა სიკვდილის ცელი,

სადაც შეჰსძახე, მუნ იყო მტერთ სრვა! და ზაქარია, მიწისა მგელი
ანაზდეულად მუნ აღჩნდებოდა, სადაცა მტერი გალაღებული, მისგან
შემუსრვას არ მოელოდა! ვითარცა ჭექა, მისი დაცემა მტერთა ზედ იყო
ესრედ საზარლად; სადაც იელვა მახვილმა მისმა, მუნ მტრის სიცოცხლე
განქარდა მსწრაფლად! გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა ჰსჩანან მამულის
მფარველნი! ზოგნი აზატის დამმხობნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი! აი
ასპინძის გმირები, ღირსებით თაყვან-ცემულნი, რომელთ შეჰდებეს
მტრის სისხლით მტკვრის ზვირთნი აღელვებულნი! აი სამასნი
გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი მეფის შეწევნად, და მის
წინ, მისთვისვე შეფიცებულნი: — “თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა
განვჰსდევნეთ მტრის ძალი, იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან, შინა
წავიდეს ცოცხალი!” და გარდიწერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებრ ხმალი
იშიშვლეს... და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შეჰსძრეს... გაჰყანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი დააკლეს... ფიცი
ვაჟკაცთა წმიდა არს... მათცა სიკვდილით შემოწმეს! თავგანწირულმა
გმირობამ ვერა დაჰსძლია შავ-მხვედრი... წახდა თბილისი და მასთან
დაემხო ძველი ივერი!.. და სად დაჰსთხიეს გმირთ სისხლი აწ ვჰმზერთ
სიამით ბალთ მწვანეთ. მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ-უზრუნველთა
მოლხინეთ! და მას წმიდასა ალაგსა, თაყვან-საცემსა ღირსებით, გლახ-
უმეცრება ფეხ-ქვეშე ჰსტრგუნავს გულითა უგრძნობით!.. გმირნო,
მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება! თქვენთა სახელთა
ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა! თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ- მოედინება, მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა
მიჰსწვდება! მხედარნი გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი
დიდება! თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ- მოედინება, მხნეობით
აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება! სადღეგრძელო ჰე, მამულო
სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოლდეს სიხარულის
აღტაცებითა აღვსილი? ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს
თვისი სისხლი. არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა

მსხვერპლი! ვინ არ შევჰქონდეთ მას ადგილს, სად აღგვეხილნეს პირველ თვალნი?

სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი? სად გვფარვიდა ნებიერად ხვევნა-ალერსი მშობლისა, და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა, სად აწ ნაზისა რხევითა კეცლუცნი, გულის მიმტაცნი, ტაძრად მიდიან ცრემლითა ჩვენთვის მხურვალედ მლოცავნი! სადა შევჰქარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა, მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა, ღამით ვარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა! სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა! სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი; უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალ-გადუწვდენელნი, სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი. სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან, მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან; მათ სიკამკამეს ყვავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან; გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან; სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?! შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა, იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!.. მამულისათვის ფიალა სავსე ვჰსვათ სიამოვნებით, და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით; იქმნეს მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით, და სიყვარულის მისდამი ვჰსარობდეთ გულსა აღგზნებით! სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა! მის სადიდებლად ჩვენც შევჰქვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა, და მოვჰკვდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა! მხედარნი ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი? ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი, არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი! სადღეგრძელო ვაი ვინცა ეშხის ცეცხლით ჩემებრ გულსა

მკვდრადა ჰედვენ... მაგრამ, ჰე შენ, მეგობრობავ, შვების ვარსკვლავად აღვეგზენ! გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვავილნი მოჰფინენ, და განკვლოთ გულის სიმტკიცით, შენც თანა-მგზავრად შეგვექმენ! რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი? თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ- მცემელი? თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი? სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი? ამ ჰაზრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულ-მოკლეობას! ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას; ვჰსდევნიდეთ კაცის წამპილწველს, უწმინდურს ანგაარებას: ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მაღლობას!. მიეცით ნიჭისა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას: ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის- შვილობას! კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებული; მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული! კმარა მოძღვრება... დავლიოთ... ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს? ნაცვლად ლხინისა, იქნება ვისმე გვითხრიდნენ სამარეს? ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს, ანუ ჰსჭვრეტდეს საშიშს ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს! მისთვის ეს ჟამი ლხინისა მოვჰსწყვიტოთ, ვითა ყვავილი, რომლისა სუნი, სიტურფე, არა არს ჯერეთ გამქრალი! ხვალის იმედით არ ვჰკარგოთ ეს ჟამი მალხინებელი, თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე ხშირად არს მაცდუნებელი! მეგობრობასა წმიდასა შევჰსწიროთ სრულად რაც გვაქვნდეს! დავლიოთ მისთვის ფიალა და აღთქმა არა გვავიწყდეს... ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად და ვინცა ომში დაეცეს, ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს! მხედარნი აწვე შევექცეთ, ჰე, ძმანო! ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს? ნაცვლად ლხინისა, იქნება, ვისმე გვითხრიდნენ სამარეს. ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს, ანუ ჰსჭვრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს! სადღეგრძელო ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება; მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება, რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება, რომლით კაცი

მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება! სად ხარ, სიყვარულის დღევ, აღარა უკმოიქცევი? ღიმილით შენსა შეყრასა ნუთუ ამაოდ ვისურვი? გულისა მნათი, ლამპარი ნუთუ ჩემთვისა განჰქარდა და ჩემი ბედნიერებაც წასულთა დღეთთან წარვიდა?.. გული რა იგრძნობს სიყვარულს, სიცოცხლეც მაშინ აჰყვავდეს, ნეტარ ის ჟამი, როს სატრფო თავსა ჩვენსა გვავიწყებდეს: მას შევსტრფოდეთ, შევხაროდეთ, თავს ვევლოდეთ, ის გვტანჯავდეს; ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ლობითა ნუგეშგვცემდეს! რა ნახოს კეთილ უგრძნობმან ტრფობისა ძნელთა ჭირებთა, ვის არ შეეხო ეშხი გულს, არ ებრძვის გულის წყლულებთა? მიჰედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა! ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა! სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს, და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს, ამა სოფელსა, მას რაი წინა საბრკმელად აღუდგეს? გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს? მაშ აბა, ძმანო, გულის სატრფოსთვის ფიალა სავსე შევსვათ წყურვილით! ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის გაშრეს, ვით ღვინო, ამა ფიალით! შვებისა დღენი მისთვის არ შეჰსწყდეს, არ ვნახოთ იგი ჭმუნვისა ღრუბლით! ახ, სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჰსჩნდეს, ენა გვემუნჯოს მეტ სიხარულით! ჰე, ჩემო ღმერთავ! აწ შენ მოგმართავ! მისმინო კვალად შორით სიტყვანი: ყოველ ჩემ ფიქრთა, ჩემთ საუბართა, იდუმალ ოხრვათ, ხარ შენ საგანი! თუ-არა შენზე, ვუბნობდე სხვაზე! ბრალი არს ენა და მის როტვანი! ვაი-თუ ჩემმან, უდროდ შავ-ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული! ვაი-თუ მოვკვდე, მეც ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს სატრფოს ცრემლი. არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა, სიკვდილის ჟამის დამატებობელი? არა ვემთხვიო, ბაგით ძლივ-ცოცხლით, უკანასკნელად მშვენიერს მის გულს. რომ სახე მისი, თვალთა დახშულმან, თანა წარვილო იმიერ სოფელს მუნ საშვებელად, მუნ სანუგეშად, და რათა მითვე ვჰსცნა უკვდავება!.. რაა გინდ მოვჰკვდე? მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა წარჰყვება!.. არს უკვდავება, სულის დატკბობა, რომელს დასასრულ არა ექმნების. მაშ სახე, სულის

დამატკბობელი, იმიერ სოფელს არ განგვშორდების. და სიყვარული, სულის მაშვენი, სიცოცხლეს-თანა არა დაპირტების, თვარა სიყვარულს თუ დავჭირებიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს? უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!.. მხედარნი აშ აბა, ძმანო, ერთიც სატრფოსთვის ფიალა სავსე შევსვათ წყურვილით; ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის გაშრეს, ვით ღვინო ამა ფიალით! ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰდება, ცას სიხარული მოჰვინა და ქვეყანასა შვენება! აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი; ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შევნატრით მხილველნი! ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან! ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან! მოჰქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;

ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი! ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიმინებული! დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულბული? ირაკლის თაფაც გამოჩნდა... აჰა მთაც კიდობანისა!.. აი მყვირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა!.. გათენდა ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა, გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!... ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ უთვალავს შვენებას? სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!.. ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა... განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა! აი თოფიცა გავარდა... აი რბის ცხენი მხედრისა! ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა? ჩვენც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ! ა დღეს ვინც ვეღარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ! დასრულდა, განჰქრა, სიზმარებრ ესე ლხინიცა ღამისა... წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო მხვედრისა! თ. ალექსანდრე ვახტ[ანგის]ძეს ორბელიანს აწ სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინც იყვნენ? ძმანი და ტოლნი, ვაჟკაცნი, რომელნი ხილვით გვალხენდნენ?.. განგვშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ, თვალთ მიგვეფარნენ...

წავიდნენ... ძველთაგან დავშთით მე და შენ!.. ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი? და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად, გულს დაშთა და მით ვიტანჯი!.. მაგრამ, თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი ნაცნობი გულისა, ვივიწყებ, რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!.. ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა? რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა; დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა. ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყევლი ფუჭად წარსულსა.. 1827 - 1870 წ.წ.

ვახტანგ მეფეს მუზარადზე აქვნდა გამოსახული

მგელი და ლომი და ამისათვის ყიზილბაშთა უწოდეს გორგასლანად, ან მგელ-ლომად. საშინელი იყო ყიზილბაშთათვის ძალი მუზარადისა ამის. დავით აღმაშენებელი, რომელიც გამეფდა მაშინ, ოდესცა საქართველო იყო სრულიად გაოხრებული მაჰმადიანთაგან.

შემახიის სულთანი გაიპარა შეშინებული მეფის დავითის ჯარის მიახლოვებითა.

მაშინ საქართველოს სამზღვარი იყო: ანი, შამახია და დერბენდი (იხილე ქართლის ცხოვრება). ანტონ კათალიკოზის სიტყვა.

დიდუბეს ეძახდნენ იმ მინდორს, სადაც ეხლა არის ნემენცის კოლონია, მუშთაიდის ბაღი და მინდორი ავჭალისაკენ, — დიდუბეში იდგა თამარ მეფის სასახლე, რომელშიც იყო მეორე მისი ქორწილი.

კარნუ ქალაქია, აწინდელი აზრუმი.

კნ. პასკევიჩმან 1827 წელს სწორეთ ამ გზით განვლო ძლევა-შემოსილის რუსის ჯარითა მიანამდის. ქეთევან დედოფალი.

ელისბარ იყო ჩოლოყაშვილი; შალვა და ბიძინა — ქსნის ერისთავნი.

ხერხეულიძის ძენი განთქმულნი ვაჟკაცობითა, დაიხოცნენ ერთად მარაბდის ომში პირისპირ შაჰაბაზისა. ერთმა ზედგინიძის გვარისაგანმა გააფრთხილა მეფე (ვგონებ გიორგი XI) შეთქმულებაზე, რომ ღამე მოკვლას უპირებენ. მეფე არ უჯერებდა,

ზედგინიმე თავის სიტყვის დასამტკიცებლად და მეფის გადარჩენისათვის დაწვა მეფის ლოგინში, რომელშიაც იმავე ღამეს მოჰკლეს და აპკუწეს შეთქმულთა. ამ თავდადებისათვის ზედგინიმის გვარეულობასა მეფემ მისცა ამილახრობა, რომელისაც შთამომავალნი არიან ეხლე ამილახვრიანი.

ესენი იყვნენ ერთ დროს, გვარად: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი-კუზიანი და ბორტისშვილი მაჩაბელი. მეფე ირაკლი იტყოდა: “თითო ზაალ ღირს თითო ჯარად”.

მეფე ვახტანგ მარხია ასტრახანში.

კახელები ეძახიან მეფე ირაკლის პატარა კახად; სიმღერაშვილი მოიხსენიებენ: “ბატონი მეფე ერეკლე ჩვენი პატარა კახია”.

მეფე ირაკლის შვილი, მაღალ გონიერი და ვაჟკაცი. მეფემ ჩააბარა ამას დიდ-ვაჟკაცობისათვის თავის ბაირალი და ორი ათასი გამოჩენილი ვაჟკაცობითა მხედარნი. მეფემ ამის რჩევით დაადგინა მორიგის ჯარი (იხ. ბუტკოვის ზაპისკა). ამბობენ ვითომც ლევან მოსწამლა მისმა მეუღლემ (ნათქვამია ალ. ვ-ძის ორბელიანისაგან).

სოლომან და ოთარი იყვნენ ძმანი ქვაბულაშვილნი.

მეფე ირაკლის, ძალიან დამარცხებულსა ალაზნის პირზე ჭარელებისაგან დაუდგა დაღალულობით ცხენი. მეფემ სთხოვა ქიზიყის მოურავს თამაზ ანდრონიკაშვილს ცხენი და მან მოახსენა: “ბატონო, შემომიჯექით და ორნივე ერთად მოვრჩებით, თორემ მტერი ახლო მოგვდევს”. “შენც შეგარცხვინა და შენი ცხენიცა”, უპასუხა ბატონმა. ამ დროს მოადგა ყმაწვილი კაცი, — ჩამოხტა ცხენით და მიართვა და ამით მეფე მორჩა განსაცდელისაგან. ეს ყმაწვილი კაცი იყო ბოსტა, რომლის გვარი მეფისაგან გააზნაურ-შვილებული ეხლაც არიან ბოსტაშვილები.

დავით იყო ბარათაშვილი.

დავით სარდალი ორბელიანი, განთქმული ვაჟკაცობითა და სარდლობითა. ეს იყო მიზეზი დიდის გამარჯვებისა აზატ-ხანზე

ერევანთან და ასპინძის ომშიაც ოსმალ-ლევებზე.

ზაქარია ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი, დიდი ვაჟკაცი. ლევნი ამას ეძახდნენ “მიწის მგელად”.

სამასნი არაგველნი მოვიდნენ თბილისს დუშეთიდამ აღა-მაჰმადხანის შემოსვლის დროს, შეჰვიცეს მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდამ, ესენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეით და კრწანისის ბაღებთან დაიხოცნენ (ნათქ. თ. ალექ. ვახ. ორბელიანისაგან).

ერევნის ფორმტატში მოჰკულეს სვიმონ ვაჩნაძე; ჯავან-ბულალის ომში გაბრიელ სოლოლაშვილი და ურდო აბბატის სიახლოეს სვიმონ ჭავჭავაძე, სამნივე მშვენიერნი და სავსე გონებითა ყმაწვილნი კაცნი. გაბრიელი იყო დასახატავი ცხენოსანი იმ დროს, როდესაც საქართველოში იყვნენ მრავალნი გამოჩენილნი ცხენოსანნი.

სარდლის ბაღთან ირაკლის თაფაა, მარჯვნივ ზანგისა. ამ გორაზე იდგა მეფე ირაკლი, როდესაც დაიმორჩილა ერევანი. არარატის მთა.

ფსალმუნი

ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა, სადა ჰელობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?.. — სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ, ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით... ვინცა ამ სოფლის დიდებასა მზეებრ მნათობსა, მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მის შუქს ფუჭწარმავალსა ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!.. იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა, ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

1879 წ.

დიმიტ[რი] ონ[იკაშვილ]ის დარდები

როდის მობრძანდებით, ჩემო ბატონო, ფეხ-ქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა!..
სავათნავა

ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ? გული მეწვის, სასიკვდილოდ
მზადა ვარ? ძაღლსავითა ვჰგდივარ ა იმ ქუჩაში, ვჰყარაულობ ერთის
ვისმეს კარებსა, ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას;

ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!.. ეშხისაგან გონება გამოცლილსა, მზე
ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის არ მესმის! განა ღამით მილი არის-ღა
სადმე, ანუ დღისით განსვენება სულისა? ან ვიღასა აგონდება სადილი,
ანუ ღამით აბანოში ლხინები?.. ნაბად-გახვეული ვჰგდივარ ქუჩაში;
ვოხრავ, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის? ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას
აკეთებ? - შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა? მითილი ხარ,
თორემ არა მკითხავდი, მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე! ჩემი დარდი,
თვალის ჩინი აქ არის; ერთი მითხარ, მე სად უნდა წავიდე? თვალის ჩინო,
დროა რომ შემიბრალო: მომარჩინო ამდენ დავიდარაბას! გამობრწყინდე
მოაჯირზე მზესავით, პირ-დავემხო, მიწას მადლით ვემთხვიო! გამაგონო
სირინოზის ხმა შენი, სიყვარულის სიტყვით გული მილხინო! აბა,
შემომხედე ლამაზ თვალებით, ნახე, როგორ გავდიდკაცდე, გავმეფდე?
მაშინ მნახავ თავი ცამდის ამეღოს. ჩემზე მეტად არსად არვინა ჰსჩანდეს!
შემიძლია მაშინ ვებრძო ქვეყანას, შენი ეშხი იმდენს მამცემს ძალასა! ქუდ
ჩაკეცით, ყელზე ჩით-მერდინითა, რა ქევ-ქევით გავსწევ ორთაჭალისკენ!
მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა, სუფრა გაშლით,
დამხვდნენ იქ დარდიმანდნი; იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ, რა
მადანი მიპოვნია ბედისა! საკინდ ჩამოხსნილი, ხელში ჯამითა
სიხარულით ვსვამდე შენ სადღეგრძელოს!

1860 წ.

იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ, რომ ფიქრი ყოვლის შენკენ ჰრბის! რომ ჩვენი სოფლად სიცოცხლე უშენოდ არა ნათლდების? შენ გულს უმშვიდებ ნუგეშით ამა სოფლისგან დევნილსა, შენ ცრემლსა უშრობ მტირალსა, შენ ატკბობ გამწარებულსა. თვით საპყრობილეს, დავრდომილს, სასიკვდოდ განმზადებულსა შენ შვების შუქით უნათებ ბნელ ჯურდმულს და მის ბნელ გულსა; და თვით მას ჟამსა, ოდესცა უბადრუკს ყოვლი უტევებს, სამარის კარად შენ მარტო მასა თანაპესდევ მეგობრულ, და იქ უჩვენებ სხვა სოფელს, სხვა დღესა დაუღამოსა, ზეცად ღვთაებრივ ცხოვრებას, ნეტარსა, საუკუნოსა.

პასუხი შვილთა

ჰე, განუსჯელნო, უმადლო შვილნო, საუბედუროდ ცუდ დროს შობილნო, სადღაც მიმალვით, რას ჰროტავთ, ჰკნავით, გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ? უკადრისობით და უმეცრებით ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს, მხოლოდ თქვენ სიტყვებთ თქვენვე ინანებთ, თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა! დრო მამებისა, მამაცობისა, წარვიდა მათთა სახელთა ქებით,* მამანი თქვენნი, თავის დროს ძენი, თავის დროს იყვნენ სახელოვანნი! ოსმალ-სპარსები, დაღისტნის მთები, ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ! მათ დაიფარეს, სისხლით დაიცვეს სისხლ-შემოსილი მამული თვისი, და სასო ღვთისა, მცველი ერისა, ენა საყდარი, სარწმუნოება!.. დრო შეიცვალა, გამეფდა სწავლა, გაგეღოთ შვილებს სახლი სიბრძნისა! სწავლის მამები, პროფესორები, თქვენთვის მოცლილნი, თქვენთვის მქადაგნი, თქვენ გასწავებდენ და მზად გაძლევდენ რაც შეეძინათ საუკუნოებს!.. ჩვენც ვპნუგეშობდით, გულით ვჰარობდით, შვილი მამასა ემჯობინება! და მოგელოდით დიდის იმედით სიხარულისა ღელვით აღვსილნი! ვითმინოთ, მოვლენ, და გაგვინათენ ჰსწავლისა ლამპრით დავრდომილს მხარეს! ჩვენც

მივეგებოთ მხიარულებით,ღირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!..

* მოვიდენ... და რა? სულ ჩაგვამწარა... ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!.. პირველად იწყეს,შკოლა გამართეს... ვსთქვით ახლა მხარე გაგვინათლდება!.. ყმანი საწყალნი, უბიწო გულნი, ჰსწავლად მისულნი, წაჰედნენ ზნეობით!.. უსასოება, ურწმუნოება,| უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს; “— ლოცვა რათ გვინდა? ღმერთი რათ გვინდა

*ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!” და დაიწყევლა თქვენი აქ მოსვლა, და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი! ღმერთი არ არის?.. შენთვის ნუ არის! შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?

* სხვათა ხელი ჰყვეს კეთილსა საქმეს: სტამბით მოჰყვინონ სწავლა მამულსა!.. აღჩნდნენ მწერლები, ჟურნალისტები, ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..* მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა,სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი, მის ძალი, მადლი, უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!.. ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

* ახლა რას ელით? მამათ რად ჰსწყევლით? ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი! ძველთ უძველესი არს ესე წესი,რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა! შვილნო, გამოჩნდით, ჰსწავლითა, საქმით! მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს! ცუდ მეტყველებით ვერ ამაღლდებით, დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით! თქვენი დიდება ჩვენც გვეამება: მის სხივის შუქიც ჩვენც მოგვინათებს!.. აჲა დიდების და სახელ-ქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!.. რაღასა ელით? რატომ გვირგვინით არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?.. რომ ბრძოლის ცეცხლი ასტყდეს ფიცხელი, ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით, იმ თქვენმა გმირმა, სულით ძლიერმა, ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი! რომ მისმა ხმამა, ქუხილის მსგავსმა, შეჰსძრას ქვეყანა მის აღსადგენად?.. ვაი საბრალოს, ჩვენს საქართველოს, თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!..

* ან სად არიან? აღარ ისმიან თავისუფლების მაღალ ფრაზები: “მოყვასს — შეწევნა, ბოროტსა — დევნა, საზოგადობის სულით აღდგენა!.. ერთობა, ძმობა, ზნეთ ამაღლება, მამულისათვის თავის განწირვა!..” სიტყვა — სიტყვაა, საქმე კი — სხვაა... ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..

.....

* გონების ბრწყინვას, ჰაზრების ელვას, წმინდისა გულით კეთილის თესვას, ნეტავი მიხვდეთ, ნეტავი მისწვდეთ, მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!.. და გულით ოპხრავს ის, ვინცა ჰედავს თქვენსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს... თქვენსა უქმობას, არარაობას, და უმეცრების ამაყობასა!..

* ჰე, სასურველო გმირთა მამულო, ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი, რომ შენსა ბედსა, შენსა იმედსა, დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები? ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები, მ[ე]ს[ხ]ი, მეველე, მელიქ აღები.

1874 წ.

* ღენერალი ივანე აფხაზი. ალექ. ჭავჭ., ვასილი ბებუთოვი, მოსე არღუთ., ივანე. ანდრონ., ზაქ., ილია და სოსიკო ორბელ., იასონ და ნიკო ჭავჭ., ნიკო ერისთავი, ნიკო ამილახვარი, დავით ვახვახოვი, ზაქ. ანდრონ., ივანე ბაგრატიონი, იოსებ თარხ., ქობულოვი, სვიმ., შალიკოვი, ბაქრაძე! და ას სამოცნი, სხვანი დახოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელს ბრძოლაში ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანდღავნი?

* ნათქვამი იმავე შკოლის მოწაფისაგან ლ. მე... საგან.

* წაიკითხეთ ”დროება“ და იხილავთ ქართულის ენის დაპრანჭვას.

სავათნავას მიბაძვა

სავათნავა მქვიან, არუთინა ვარ, ანაბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ!
სავათნავა ჭიანურო! მაღლად, ტკბილად დაუკარ! ვინცა გაქოს, თავი

მდაბლად დაუკარ, შენსა მტერსა კბილის კრიჭა აუკარ! ხინიკო, ხინკიკო!
ავი კაცის წვერი წყევით აივსოს, ჩემი თასი წითელ ღვინით აივსოს, ჩემი
გული კვალად ლხინით აივსოს, ხინიკო, ხინკიკო! ერთხელ მეც მეჭირა
სიამის ვარდი, შავმან ბედმან უცებ დამკრა, დავარდი, სოფლის გარეს,
ვაის მხარეს გავარდი! ხინიკო, ხინკიკო! უზრუნველად დავმდერდი
ერთხელ მეცა... გესლით სავსე აწ გულს ისარი მეცა... ნუგეშად
პყრობილსა მექმნას მე ცა! ხინიკო, ხინკიკო! ჭიანურო! აქვე გული
მისმინა, ვის ვეტრფოდი სულით, და მანც მისმინა... სიამით აწ ვეღარ
ვნახო მის მინა! ხინიკო, ხინკიკო! მაგონდების რა მის ღაწვზედა ხალი,
სიყვარულის გულს მეგზნება ახ, ალი! მოვშორდი, ვჰსცან ოხრვა, კვნესა
ახალი, ხინიკო, ხინკიკო! სიყვარული არს თავის დავიწყება! ვაის
უფსკრულს ვგდივარ, - მაგრამ გონება მაინც მასვე შორით ეტრფიალება.
ხინიკო, ხინკიკო! ბედმან ადრე მწარე ფიალით მასვა; არ იკმარა, გულს
ლახვარი დამასვა! არ მაკმარა, - განმაშორაცა მას, ვა! ხინიკო, ხინკიკო!
ბედო! ჩემის ლხინის ძაფი რად ჰსწყვიტე? ჭიანურო! შენც სიმი რაღად
ჰსწყვიტე! მაშ შენც, ჩემო თავო უბედო, ხმა ჰსწყვიტე! ხინიკო, ხინკიკო!
მოეც, მუშაკო,* ბულბულად ქებულო, ჩემს ჭიანურს ადგილი წალკოტს**
ბოლო. ეგებ ვინმემ ჰსტევას: ვად გრიგოლ საბრალო! ხინიკო, ხინკიკო!

1833 წ.

* გიორგი თუმანიშვილი, რომელიცა თავის ლექსში იწოდება მუშაკად.

** "წალკოტი მრავალყვავილოვანი", ლექსების წიგნი, რომელიცა აქვნდა
მას.

მოგონება

აპა ადგილი, აპა ის არე, სად ხელმწიფობდი მშვენიერებით; ჭალაკი იგი,
იგივ მდინარე და გაზაფხული მის ფეროვნებით! საცა შენ იყავ, მუნცა
ყვავილნი უმეტეს სუნნელთ აღმოფშვინვიდენ; მზე ბრწყინვალებდა;

აშივ-ბულბულნი შენდამო ქებას ტკბილად გალობდნენ! გახარებული შენის მშვენებით ნიავიც ფრთეთა ამოდ განშლიდა; ხან შენსა კავებს ნაზად შეხებით, ხან შენსა ლეჩაქს ეთამაშიდა! საცა შენ იყავ, მუნცა მე ვრბოდი, გულ-მხიარული, სულ აღტაცებით; ვითა წყალობას ცისას, ველოდი შენს ერთს მოხედვას ლმობიერებით! სულ განაბული, ვით ანგელოზსა, გიმზერდი კრძალვით, გულ-ძგერით, სურვით; გისმენდი ტკბილად ხმა სირინოზსა, ტრფიალი შენდა სულის შეწირვით! აწ მასვე ადგილს ვჰზი მარტო ჭმუნვით, და დრო წარსული თვალ-წინ მეხატვის, როს გულს მინათდი მშვენების სხივით, მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის! დრონი წავიდნენ... თანა წარიღეს გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა: მარამა მე კი მარად მახსოვდეს იგივე დრონი ნეტარებისა! აწ არც კი მიცნობ, - გულით იცვალე... ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს; შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე და მე, თუ-გინა, საფლავმა მფაროს.

1851 წ.

გაზაფხული

ყოველთ სულთა, საცხოვრებლად, სასიამოდ, საშვებელად, გაზაფხულით განიღვიძეს! ნიავი ჰქრის სუნნელების! მდელო ნაზად აღმწვანდების! და მზემ სხივნი ჰყო უნათლეს. დრო საამო! როს ბულბული ვარდსა შესტრფის ეშყით ბმული: როს სიტურფე, სიხარული ყოველთათვის აღმოჩნდების; როს უმეტეს ტრფობის ალი გულსა შინა აღეგზნების! გაზაფხულის ჟამს სასურველს

ყოვლი იშვებს, ყოვლი ჰხარობს! მხოლოდ ჩემს გულს დამწარებულს ხმა ბულბულის აღარ ატკბობს. ჩემთვის აღარ ტურფად ვარდი ჰშლილობს, ჰფშინავს სუნნელებით! ჩემთვის აღარ განთიადი აღმობრწყინდეს ნეტარებით! არ მახარებს დღე ნათელი, არც ყვავილის ფეროვნება, ცრემლთ მიმრავლებს გაზაფხული, მის სიტურფე და მშვენება! ჩემს უყვარს გულსა დაღრეჯილს, ცა მოღრუბლული რისხვითა; როს

გრიგალს, ჭექას და ქუხილს ისმენს ქვეყანა კრძალვითა! მაშინ
სიკვდილსა მდუმარედ სიამოვნებით მოველი,
რომ მას შევერთდე სამარედ ვისთვისაც ვიყავ სულდგმული! ვინც იყო
ბედნიერების ჩემის სიცოცხლის საგანად; მხოლოდ ცრემლთ სიამოვნების
ვისთანა ვჰსცნობდი სადენად. რომლის ვიხილე სიკვდილი და მე კი
დავჭრი ამ სოფლად! - რომლის სიკვდილმან მე გული მომიკლა და მჰყო
გლახ ობლად. ამა ურწმუნო სოფლისა ადრე ვისწავე მუხთლობა: მისსა
ყოველსა კეთილსა აქვს მხოლოდ წამი მყოფობა, მის ჟამით არღა მახარებს
არც გაზაფხული მოსვლითა. და არცა გულსა მიწუხებს
მე იგი თვისის წასვლითა.

1832 წ.

ჩემი ეპიტაფია

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო, მეცა მიყვარდა, მეც
ვჰსტიროდი, ვილხენდი, და დაფიქრებით დავჰმზერდი საფლავებსა!
მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენ! ამ ზენა-ჰსჯულსა ვერა
არსი ვერ ასცდეს: ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით, ვერცა
გლახავი შემოსილი ძონძითა, ვერც სიჭაბუკე შვენებითა შემკული და
ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით! ყველა იცვალოს, ყველა
მოკვდეს, დამიწყდეს, და მხოლოდ წრფელი სული, წმიდა, ცხოველი,
მღვთადა აღვიდეს ნაწილავი მღვთაებრი.

1839 წ.

*

ჰე, ივერიავ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი, ვიდრემდის სხვათა
ყვედრებითა გფარვიდეს ძალი, რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა
კრიალი, ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი. წინაპართ
სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს, თავისუფლება განქრა
ჩვენთვის, რაღა გვახარებს! შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის
ცხოვრებას, მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს
ალერსობას... ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას. ბედო! ნუ
გძინავს, განიღვიმე, ისმენდ ვაებას! ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა
მწყემსი არ უვის, ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის, ვინცა
განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის, დასასრულ მაინც
საშინელად ესრეთ წარხდების.

1832 წ.

მუხამბაზი

ნუ მასმევ ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშით, — თვარა

მიმუხთლებს და წარმოპსთქვამს ენა ყოველსა, ესდენ ხან კრძალვით
დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა: უიმედოსა შენდა მომართ ჩემს
სიყვარულსა, ტანჯვათა, ოხრვათ, იდუმალად მომდინარ ცრემლსა, ჩემს
შესაბრალისს გაშმაგებას ცნობათ დაფანტვით... ნუ მასმევ ღვინოს, —
უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით! გულის ურჩისა დასამშვიდად
მცირედ გონება შემრჩომია-ლა და მისიცა გსურს დაბნელება! მის
დასამონად იცი, კმარა შენი შვენება, ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირ
ყურადღება!იცი, მარამა თასს კი მაძლევ მღიმარეს სახით, ნუ მასმევ
ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით! რადგან არ იშლი ჩემს
საკვდავად შენს სასტიკ სურვილს და ჯილდოდ ვარდსა მაძლევ ოდეს
შევსვამ თასს აღვსილს; მაგ ვარდის ნაცვლად მასუნე ვარდს, შენთ
ღაწვთზე გაშლილს, და მაშინ გინა სიხარულით შევსვამ თვით
სიკვდილს! რათ მინდა ღვინო, თუ ვერ გეტყვი: გეტრფი მთვრალ ეშხით!
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით! ზოგჯერ
მღიმარე გიმზერ ოდეს ეშხით აღვსილი, მრწამს, რომ ღაწვთ ზედა
გარდაგვრია ნუშის ყვავილი! მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე
სურვილი. მაშ გინდა მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი, ისმინე,
ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით. ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ
ვარ მთვრალ შენის ეშხით.

1829 წ.

*

**

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს
უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...

1883 წ.

ალბომში

როს გარდაშლიდე, მეც დამხედავდე, განიღიმებდე, მომიგონებდე. მარამა
ვა თუ მე ესრეთ ვარ შესაბრალო ბედისა, რომ არღა მოგაგონდები მეორედ
გადაშლამდისა?

1831 - 1832 წ.წ.

*

**

ვინცა გნახოს, კვლავცა გნახოს, არ იკმაროს, კიდევ გნახოს; თუ
მოგშორდეს, ცრემლით გძებნოს, და რა გპოვოს მან გალმერთოს. მისი
სიტყვა, მისი ფიქრი, თუ არ შენდა, არსად იყოს, შენთან მის დღე
ბრწყინვალებდეს, უშენოდა დაებნელოს!

1840 წ.

საღამო გამოსალმებისა

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა, თავსა ეხვევა ალერსით,
ვით ქალი მამას მოხუცსა! ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის
აყუდებულნი, ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით
შემკულნი! მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ
დაჰსწოლიან, და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.

გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით, მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით. წყალნი მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან, თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან! შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა, მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა, რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა, და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა! მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა. არღა აამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა, წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა. ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების... თანა ჰსდევს ჩემი მას სული, ვმზერ... შორს ძლივსღა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა ვუმზერ

შმაგ-ქმნილი? სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი, და გულით ოხრვა სიმწარის აღმოუტევე უნებლი... მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა, აწ ვისთვის გული მიკვნესის, სული ჰსწუხს განშორებითა, ვის ხილვა არღა შემმოსავს სიხარულისა ნათლითა, არ განმასვენებს მწუხარეს ალერსის ხმითა ტკბილითა! მარამ ამ სოფელს შენს გარდა ვინა მყავს მანუგეშებლად, რომ შენც განმშორდი, დამტოვე, მწუხარებისა მე მსხვერპლად? წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა, და ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა? ან მე უგუნურს რად მრწამდა ბედისა დაუსრულება? აწ დავჭრთი

მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს

მშვიდობა! არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა, ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს

გულ-წყლულსა? შეღამდა... მარტო ვზი ჭმუნვით; ჩემი ჩივილი ვის ესმის? დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის. მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის, და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაპნათის! წყალნი მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან, თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

1840 წ.

კინტოს სიმღერა

რა გინდა ჩემგან, არ დამეხსნები? ვიწვი, მედება ეშხის ალები! მინდა დაგწყევლო, — ენა არ მომდევს, ვფიქრობ გეჩხუბო — გული არ მომდევს, ვამბობ გაგექცე, — ფეხი არ მომდევს! ვაი, ამ ცეცხლში როგორ გავები! რა გინდა ჩემგან, არ დამეხსნები?

მუხამბაზი

სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით! ლხინის სუფრა მოჰყონეთ ყვავილებით; ალავერდა* დასვით თარით ნაქებით, ყოვა ბულბულ ტკბილის ხმით აღუღუნეთ, დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ! ლხინის პაპა,** სახით არაბისტნელი, ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი, ტოლუმბაშად დასვით ქუდ ჩაკეცილი! მის შვოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი? ორმოცი წლის რომ შეიქნეს, - გააგდეთ, დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ! სიჭაბუკე, ვით მაისი მშვენივრად აღყვავდების და მისებრ ჰქრების ჩქარად: ვაი ვისთვის ეს დრო განვლის უგრძნობლად, და ცის ალით - ეშხით არ ჰყოფს გულ-დამწვრად! სიჭაბუკე არს ლხინის დრო, მერწმუნეთ: დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ! ვითა ბალი უყვავილოდ, უვარდოდ, არა მიყვარს ლხინი უეშე უსატრფოდ! მოდი, მნათო, სავსე თასი სალხინოდ ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე, უპროშტოდ. შენი თასი არს სადგური სიამეთ! დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ! სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის, ეს ფიალა იყოს სადღეგძო ხალის, ვისც არ უყვარს, რა ნახოს კეთილ სოფელს? შავნი ფიქრნი განსტვენენ, - მტანჯნი გულის... გულში ეშხით, ხელში ჯამით ილხინეთ, დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

ვისთა დღეთა მწუხრამდის ნათლად განვლეს? ვისი მზე არ ღრუბელსა

მიჰთარვიეს? ვისი ბედის კოჭი სულ ალჩუ დაჯდეს? არ მიენდოთ დამღუპავს, წყეულს ხვალეს! დღეს მოხარულთ, დღესვე ისიამოვნეთ, დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ! მიმოხედეთ, რავდენთ ვეღარ იპოვნით ერთად მსხდომთა, მოხარულთ თქვენთან ყოფნით. სად არიან? ზოგნი შორს ვლენან ოხრვით; ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ლხინით! ამ თქმაში რად, ცრემლნო, თასში შთაცვინდით, და ჭირთ მდევნი, ღვინო ტკბილი დამწარნეთ?.. დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

8

35 წ. * იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს. ** მირზაჯანა მადათოვი.

მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს, ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს, და ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს და მის დახსნისთვის უზრუნველ თვისს სიცოცხლეს კი ჰზოგავდეს. მტერსა ხანჯალზედ აღგებულს ვინცა სიამით არ ჰსჭვრეტდეს და სმენა მისთა კვნესათა გრძნობათა არა უტკბობდეს! რა სასურველ არს სიცოცხლე, ვაით ამ სოფელს მოსული, და სამარემდის კვნესითვე უღელსქეშ დამწარებული! ჰსჯობს იგი მოკვდეს და ანუ არ იქნას დაარსებული! მხვედრი ესრეთი ვაგლახი არს ვისთვისც განმზადებული! ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთომოდეს, რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს! — ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს... სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!

1832 წ.

მუშა ბოქულაძე

რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა, ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა? მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი, ფერით რკინა, კისერჩაჟანგებული, კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა, სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი, ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქიცევია შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!.. ან რა გიკვირს? — ჩემ შუბლზედა ღარები, წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული, ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა, დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა, უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!.. ჰსჩანს არ იცი, რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!.. ნუ გიკვირს კი, ჰსჯობს ჩემ გულში ჩახედო, წაიკითხო სიმწარისა ამბები: ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა, მეგობრისგან იუდასი ამბორი, საყვარლისგან — წყეული სიყვარული, ნაზის ხელით გულს დასმულნი დაღები! სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა დამავიწყდა რაცა ვიყავ ოდესმე!.. და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს ბედად: ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა... და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით! ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა, სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა... მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!.. ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!.. ბაღით მესმის ჭიანურის, ლხინის ხმა, სავათნავას გულ-დამწველი სიტყვები... გულით მინდა მეც აქედან ხმა მივჰეცე, მარამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ? და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხრვას, მალვით ვიწმენდ თვალში მორეულ ცრემლსა... ეპ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის?.. მაშ ვინა ვარ, რა მჰქვიან ამ სოფელში, თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს? სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო და ვერ ვჰქედავ მომავალშიც ნუგეშსა, მცირედ სხივსა სიხარულის ნათლისას... წყეულ იყოს, ვინცა მუშა აკურთხა, მოკლებული ყოველ-გვარის შვებასა, კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!.. რას მიყურებ დაღონებულს, ფერ-მიხდილს? მოვჰქუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად, თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?

რა მიამა? რომ მოვკვდე რა ვინანო?.. როგორც მოველ, ისე განვალ ამ

სოფლით, სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!.. რად ვიშობე, თუ ეს
ბედი თან დამჰყვა? ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო? — არ ვიცი! მაგრამ
ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება... რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუთუ მართლა კაციც არა გგონივარ, რადგანაც ვარ სიღარიბის
სამოსლით, არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!.. მაშა მღვდელი
ლაპარაკს რომ დამიწყებს, ყურს რათ ვუგდებ გონება მიზიდული? მის
სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის, მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა, ზეციურის მადლით განათებული.
გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...ვჰგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა
ვიგონებ... მაგონდება დღენი ყმაწვილობისა, ხმა დედისა, მისა ტკბილი
ალერსი... თვალ-წინ ვჰხედავ დიდხანს დავიწყებულთა... და აღარ
ვჰსწყევ ჩემ შობის დღეს, ჩემს ბედსა!.. მაშინ შრომაც დიდად
მიადვილდება, და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით, თითქოს ჩემ ქოხს
დაჰფრინვენ ანგელოზნი... განცხომის ძევ, ნებიერად გაზრდილო, ეს
ქვეყანა შენთვის არის შექმნილი! ველთ სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მზის
შუქი, გაზაფხული, სუნნელების ნიავით, შენ გეტრფიან, გახარებენ,
გატკბობენ! შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზნი თვალებიც; ნაზი წელი
რხევით შენსკენ რონინებს; მიმოჰქრიან

შენთვის ზღვაში ხომალდნიც, ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ
მზიდველნი.თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა, შენთვისა ვარ
დაბადებით მსახურად: დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას, რომ მის
სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა, და შორით გმზერ, კრძალვით მლოდე
წყალობის... შენ ხარ მეფე... მე ძალლადაც არ მაგდებ!.. რაღა გითხრა,
ნუთუ ეხლაც ვერ მიხვდი, რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა? როგორ
ახდენს სიღარიბე კაცის გულს და აბნელებს სულის სხივსა, გონებას? ეჰ,
ძმავ, წადი, შენ შენს გზაზე სიმღერით... მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ
მოვიხსნი, სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი, საუკუნოს განსასვენსა
ალაგსა!..

ალბომში ღრ[აფინია] ოპ[ერმანისას]

შეჰსტრფი საღამოს, ტკბილ სუნნელ-მყუდროს. მის სიბნელესთან სინათლე რეულს; ცა ვარსკვლოვანსა, ლაჟვარდოვანსა, და შორით კავკაზს სახე დიდებულს! მე მდუმარებით ვჰმზერ გაოცებით შენზე მთოვარის შუქსა მოდგმულად, და ღამე ესე, სიტურფით სავსე, მრწამს, რომ შენგან არს დამშვენებულად! მრწამს, ჩვენის ცისა მშვენიერისა შენ ხარ ვარსკვლავი, მოსული ქვეყნად! მან ინეტაროს ვის მოეფინოს გულს შუქი შენი ტრფობისა ნიშნად! მრწამს, ცის ნათელი, ვარდის სუნნელი, ერთად რეულნი სულად ქცეულა, და შენს წმინდა გულს, სიკეთითა სრულს, უმანკოს, წრფელსა, დამკვიდრებულა. ეგ ჩემნი მკვლელნი, ზილფებნი-გველნი, ვინ დაადგინა ვარდ-ღაწვთა მცველად. რომ დღე და ღამით, ესრედ განცხრომით ზედ ხელმწიფობენ ჩემ თვალთა მწველად? ნეტა ვის მისცეს ბედმან მხვედრი ეს, რომ გადაშლიდეს მაგ გველთა-მცველთა. და ზედ დაკვდომით, სულ ამოხდომით ვარდთ დაგეკონოს ღაწვთზე გაშლილთა? ანუ ეგ თვალნი, ელვა მოსილნი, ვისა უმზერენ მინაზებულად? ან ვინ შეგეხოს შენ წელ-კიპაროზს, ხან ნიავებრ მსვლელს, ხან ხელმწიფურად? როს მშვენიერთა, ბაგეთა ვარდთა, განაღებ მღერად თვალთ ზე-ახილვით, მაშინ ნათელი, ცით მოვლენილი, გვირგვინოსან გყოფს თავს გარდმოფენით! მაშინ მეც მესმის ხმა ანგელოზის, სულის, გონების ცადა აღმტაცი! არ ვიცი, სად ვარ! გულ-ტკბილად კი ვარ, ვჰგრძნობ ამ სიტკბოსა... ეს მხოლოდ ვიცი! მაშ უგრძნობლობით, გულ-გაქვავებით ნუ დააბნელებ ნიჭთა ციურთა! უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა? მაშ რამ გვახაროს, რამ გვანუგეშოს, ან ჭმუნვის ცრემლი ვინა მოგვხოცოს, თუ სიყვარული, ზე-გარდმო მადლი, ღვთისა კურთხევად არ მოგვევლინოს? შენსა მელექსეს მაქვს ვედრება ეს, რაც ვერ ვჰსთქვი ენით, მიხვდე გულითა! და შორს კავკაზსა, და მეც მუნ მყოფსა, ნუ მოგვიგონებ გულ-სიგრილითა!

ეკატერინა ჭა[ვჭავაძ]ისას

წინანდლის ვარდო, სულითა ტრედო, გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო! ვითა ცისკარი, ხარ მოცინარი, რომე მხილველის გული ახარო. იმხიარულე, ვიდრე სიცოცხლე შენი მშვენივრებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი; ვიდრემდის შენ ზე დაგნათის, ვით მზე, სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი! ჭმუნვის ღრუბელი, გულ-დამაბნელი, ვიდრე მხიარულს არ შეგხებია; ვიდრე ამ სოფლის დაუდგრომელის ვარდნი ეკლადა არ გარდაგცვლია!

1829 წ.

ჩემს დას ეფემიას

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ, ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჭკნარისა, დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ, და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა! ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვების ვარსკვლავი, შენის ღიმილით შეჭმუხვნილი სახე მინათლე, შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით, და გულ დაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე! სიცოცხლე ჩემი, ძლივს გაშლილი სასიხარულოდ, ძლივ დილა ჩემი, მზისა ნათლით გაბრწყინვებული, მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ, და ახლად ლამპარს

ალმინთებდა გულს სიყვარული, რომლისა სხივნი თვით ეკალთა შეჰქმიდენ ვარდად, რომლით აღვსილი არა ვჰსცნობდი ჭმუნვისა ცრემლთა,

მეგობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად და სიამითა უმზერდიცა დღეთ მომავალთა! აწ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი, რომე აჩრდილიც არა დაჰშთა ჩემდა ნუგეშად, რომ გლახ ჩემს გულსა მოსეულნი ჭმუნვათა დასნი ესრედა ჰელეჯენ უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად? უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრედ, რომ ცა,

მომფენი ჩემდა ნათლის ჰუარა ღრუბელთ ქვეშ; სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ, და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, უნუგეშ, სადაც ოხრვანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით, არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის! სადაცა ჰსწვავდნენ, ვითა ცეცხლი, ღაწვთ ცრემლნი დენით, და მათ არ ჰსწყვეტდა არავისი ხელი ნუგეშის; სად ვერა ჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ჟამსა, სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე — უვარსკვლავ, და სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა, თუმცა

სამარეს შეედრების სადაცა ვიყავ. მწუხარების დროს ჟამნი მსწრაფლნი ვლიან ნელიად, და უბედურის სახეზედა ღრმად ჰბეჭდვენ თვის კვალთ, არღა აჰყვავდეს გული ჩემი ორგზის ამ სოფლად, მახვილი გულით ვერ აჰგლიჯონ შემდეგ სიხარულთ. ვიყავ უსაგნოდ, უიმედოდ, მაგრამ ოდესმე გულსა რაღაცა გაელვებით განახარებდა... ან დავიწყებით. ან შებრალვით წარსულს სიამე თითქოს ჩემს გულში სურვით ნაცნობს ძველ კვალს ჰპოებდა; თითქოს ჰსცდილობდა განბნევასა გულის სიბნელის და ვით თვის სადგურს, ჩვეულებრივ მუნ დამკვიდრებას! მაგრამ მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის, წარსულთა დღეთა იგონებდა რა ნეტარებას. ესრედ ამშვენებს სიტურფითა ვარდი სამარეს, ესრედ მშვენიერთ ბაგეთ ზედან იელვებს ღიმი, თუმცადა გულში უზომოსა ჰუარავს სიმწარეს; ესრედ ვარდს დამჭკნარს დაეცემის უდროდ ცის ნამი. უჩინოდ ჩემთვის მდინარებდნენ თვისითა წესით დღენი და თვენი, და ვერც ვჰსტვლიდი მე მათსა დენას, შემაშრნენ ცრემლნი, მაგრამ არ თუ ჭმუნვათ

განქარვით, არ-თუ ვისგანვე მოვისმენდი ნუგეშის ცემას. არა! წყვდიადსა მას სადგურსა სხივი ნუგეშის ვერ მოეფინნენ საშვებელად გულსა უბედურს. ვაი მას, ვინცა ჰრაცხს ნუგეშად, ვით მე მიმაჩნის, რომ შევეჩვიე მწუხარებას და ვაის სადგურს! ჭმუნვისა ცეცხლით გულსა დამწვარს აგრილებს ცრემლი, შემაშრნენ ცრემლნი და ესეცა შვება მომაკლდა. მაშინ შემექნენ გონება ჩლუნგ და ქვადა გული, და ან რაც ვიყავ, ან რაცა ვარ, ყველა მავიწყდა. მაგრამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა ჭიკჭიკი მერცხლის,

და სწორედ ვიტყვი, მრწამდა იგი ხმად მეგობრისა, იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული, და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა! მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის განხდა ხრიალი, და კედელთაცა დაყრუებულთ წარმოსთქვეს ბანი! ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი, გავოცდი, ვჰსდუმენ და ხმა ჩემი მევე ვერ ვსცანი. მის ჟამით ვიყავ, ვით სამარეს, უხმოდ, უსიტყვოდ, ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიღეს. პირველად მზის შუქს თვალთ ვერ უძლეს, დავშთი უნათლოდ. შემდეგ სიამით მიმოვხედე გარეშე არეს: - მდინარე იგი, იგივ მთანი, ნიავ მომფენნი, წალკოტნი, ველნი, უწინდელებრ ალმწვანდებოდნენ, იგივ უღრუბლო, უცვალებელ ცა ნათლოვანი, მხიარულ ყრმანი თამაშობით მოიმღერიდნენ. გამოვემსწრაფლე სამშობლოსას, სადაც ვგონებდი, წარსულთა ტანჯვათ, მწუხარებათ დავიწყებასა;

მარამან იყოს წყეულიმცა ესრეთი ბედი: მშობლის ხვევნის წილ შევხვდი ახალს მუნ ვაებასა!.. ვისგან ნუგეშსა მოველოდი, მისი სამარე თვალთ იხილეს და არ დაბრმავდნენ მყისვე ეს თვალნი! უგუნურადა დავჰმზერდი მის საფლავს მდუმარე, და გლახ გულისა სანუგეშოდ ვერ ვჰპოვე ცრემლნი! ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან? ვისა შევჰბრალდე, რომ ეგებ მით გული განჰგრილდეს? ღრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან ღიმმან? უდროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს დაჰსტკბეს? სიყვარულისა სურვილი მას ვერ დაუთმობს გულს, მისი სიცოცხლე ვერა დასტკბეს მართლ სიხარულით, ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით აღვსილს, უმზერს ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალით. ხვალე არღა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი. ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით დღეს ბედნიერ? ვისწავლე ესე, როს განმექრო ბედის ვარსკვლავი, და აწ თუ განვლის დღე მშვიდობით, მწუხრს პირჯვარს ვიწერ! მაგრამ ნუგეშად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ, ლხენად გულისა, უდროოდა მწარ-დამჭკნარისა, დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ, და განმისვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა! მისთვის ვლოცავ ცას, შავნი დღენი

ჩემთვის შთომილნი, არ შეჰსწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი, მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ.

1835 წ.

იარალის

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს, ჩვენებურადა, ძველებურადა, ვსვამდეთ, ვიძახდეთ: იარი-არალი! ჯეირნის მწვადი შიშინით ცეცხლზედა დასტრიალებდეს, ყნოსვა დამტკბარი მის სუნით, მადასა განგვიღვიძებდეს. კახურის ღვინით აღვსილი აზარფეშაცა ხელს გვეპყრას, მოთალი, თევზი, მწვანილი აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას. ცა მშვენიერი, ცა მშობლიური მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს, გაცხელებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს... შენ მომითხრობდე, მე ყრმა გისმენდე, გამოუცდელი მოხუცებულსა, თუ ვით ივერნი, ლომგულნი გმირნი, ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრებდნენ დროსა წარსულსა. გისმენდე, თუ ვით მდევარის ხმაზე ჭაბუკნი მხნობით აღტაცებულნი, მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე შეგროვდებოდნენ წამს შეჭურვილნი.ვაა მას მტერსა, ვის ანუ კლდენი, ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ, ვითა შურდულებრ, ტრედთ შავარდენნი მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ. დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა მსხვერპლად, დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად, როს ერთგულება, სარწმუნოება, ივერთ თვისებას შეადგინებდნენ, ოდესცა ბრძოლა და მამაცობა მათსა სახელსა განადიდებდნენ... გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა, შექცევით, ლხინით მოწოდებულნი, ჭაბუკ მხედარნი ყაბახსა* ვრცელსა ტურფად დარახტულ და დაკაზმულნი, ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უმრავად, ესრედ მოჰქრიან, ვითა ნიავი; ჰკრეს ნაღარასა - განიყვნენ ორად, აპა, საამო სჩანს სანახავი. ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ

სრიალი, ყურთ მაჯთ ბრიალი, ცხენით ქვე ხტომა, კვალად შეხტომა, უზანგთა ცემა და ხმალთ კრიალი!.. ზოგი არწივსა ზეცას მფრინავსა ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა. ჯირითი ზოგის ზუზუნით მოჰქრის და მოხვდა ქვაზე **თასს ნიშნად დგმულსა.ამ ვაჟვაცობრივს შექცევას იგი*** სიამით მარად უმზერდა შორით, ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვისთვისაც ვჰსტირით. წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარიღეს, აწ უცხოს ცის ქვეშ, ზოგსა ვჰჭვრეტთ ოხრვით, და ცრემლით ზოგის წმიდა სამარეს!.. ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს? რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს? მაგრამ ამაო, ჩემო იარალი, არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!სად აზარფეშა, სად არს მწვანილი? ღვინის წილ - კვასი, მზისა წილ - ყინვა! გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა სადღა იხილოს ცა მშობლიური? შენ ხარ პეტერბურლს, მე ნოვლოროდსა, გარეთ მკლავს ყინვა და შინ “უგარი”. გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა, მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა. 1832 წ.

*სადაც ეხლა არის სასეირნო ბაღი ალექსანდროვსკისა, იყო დიდი საჯირითო მეიდანი, სახელად ყაბახი.

** ყაბახის თავს და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დაჰსმიდნენ თასსა და ესროდნენ ჯირითს და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ გამარჯვებისა. უკანასკნელ ჯირითში კონა ერისთავმა გაიმარჯვა.

*** მეფე ირაკლი.

სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ

სიხარულო, შვებავ, ლხინო, ახლისა აკვნის გუშაგნო! მზევ, შინ შემოდიო! თქვენ, სულსა აღნაგსა ახლად, დაჰფრინვეთ თვალ მოულულად! მზევ, შინ შემოდიო! მე მისსა მშობელ ვენერას დაუმდერ ტკბილსა "მზე შინას"! მზევ, შინ შემოდიო! გიმდერ, გალხენ, — განისვენო, ჩემო მაკრატლის გვირგვინო! მზევ, შინ შემოდიო!

ეჭვი ვის აქვს, მამა ვინც არს? ჩემს ნაკერსა ვსცნობ ფრიად შორს! მზევ, შინ შემოდიო! ნუ გწყინს, ვარდო, ყვავილთ მეფევ, რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ, მზევ, შინ შემოდიო! რა ვქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს. ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს! მზევ, შინ შემოდიო! მარამ რაყიფთ ვმზერ შენთან როს მწვენ, გულს მისმენ ცეცხლის უთოს, მზევ, შინ შემოდიო! შენ სანთელი, მე ფარვანა! დაე დაიწოს ბეჟანა! მზევ, შინ შემოდიო! სიყვარულმა მათქმევინა, თვარა მე ვინ, — ლექსი ვინა?

მზევ, შინ შემოდიო! 1834 წ.

თამარ მეფის სახე ბეთანიის

ეკლესიაში შენს წმინდა სახეს, შვენებით სავსეს, სახიერებით განსხივებულსა, ვუმზერ კრძალვითა, თაყვანცემითა, ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა! მიხარის — გიმზერ, ვჰსწუხვარ — და გიმზერ, და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე, არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვჰგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!.. ყვავილოვანი

წალკოტი შენი, შენის დიდების სხივ-მოკლებული, აღარა ჰშვენის, აღარ გვიბრწყინვის შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!.. და, ვით განვლილსა სიზმარსა ტკბილსა, მზეს დიდებულად ჩასვენებულსა, ვიგონებთ შენს დროს, გული გვიმაგროს, სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი! ხნით დამაშვრალი, დაღონებული, შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით: მოხედო ბედვრულს შენს სატრფოს — მამულს, და ჯვარით შენით აკურთხო კვალად. შენი ივერი აღსდგეს ძლიერი, და

დადგეს ერად სხვა ერთა შორის, წმიდით საყდარით, ენით მდიდარით, სწავლისა შუქით განათებული! ზნე ამაღლებით, ძლევის დიდებით, სამშობლო მიწის სიყვარულითა! — და გაგვიცოცხლდეს, რომ კვლავც მოგვესმეს სიტყვა ქართული რუსთაველისა. რომ განვიღვიძნეთ, სულით განვახლდეთ, და განქრეს ბნელი უმეცრებისა!... ...მარამ ცად თვალნი გაქვს მიქცეულნი, და მე ვეღარ მცნობ გულ-შემუსვრილსა, დამცირებულსა, ხმა-მიღებულსა, ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს! ეჭვით აღვსილსა, უსასოდ ქმნილსა, გულ-უიმედოს, გაუხარებელს!.. ვაჲ თუ რაც წახდეს ვეღარა აღვაძგეს, ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით? და რაც დაეცა ის წარიტაცა შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი! ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო, შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ? დიდება ჩვენი, ცად სხივ-მიმფენი, ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰედავთ რასაცა? დაყრუებულსა, გზა შეუვალსა, უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს, სად სახე მეფის, დიდის თამარის, სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

1877 წ.

* შემოსვლა ლანგ-თემურისა და შაპ-აბაზისა, რომელთა საშინლად გააოხრეს ჩვენი ქვეყანა. ქართველთა დაარქვეს შავი დრო ამათ შემოსვლასა.

როდესაც საქართველოს ჯარი შეიყრებოდა სალაშქროდ, თამარ მეფე თვით აკურთხებდა მას ჯარსა ჯვარითა.

ნ... დმი

მნათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვჰერმნობ, როს გხედავ ვჰითლდები, რად ვჰკრთები, ვჰშიშობ და ვჰხარობ? მაშინ რად ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვჰცდილობ, და რისთვის ნაცვლად სიტყვათა, მხოლოდ ოხრვითა ვმეტყველობ? მრავალგზის ვფუცავ არ გნახო, მაგრამ ყოველ ჟამს გეძიებ, როს გხედავ, გულსა სახმილსა მდუმარედ მყოფსა აღმიგზნებ. მაშინ მე, შმაგი,

ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ; ხანა ვჰქსწყევ შენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვაღმერთებ. მრავალ გზის ვფუცავ გივიწყო, და ვჰქმნაცა ნება გონების; მარამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის... გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის, და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰყვინვის! 1830 წ.

მუხამბაზი

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო. ჩამჩი-მელქო გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ! ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ, გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ. სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ, გინდ ვერ მნახო, იცოდე რომ იქა ვარ, რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ! ჩემთვის ჩუმად ვამბობ: "რა ლამაზი ხარ!" გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ! რტო ალვისა, შენი წელი მგონია, მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია, ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია. ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია. როს მეღირსოს, ვჰქსთქვა: "გეთაყვა, ჩემი ხარ!" გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ! ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის! ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის! მინდა რამ ვჰქსთქვა — შენი სახელი მოდის! ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის? ერთხელ მაინც მკითხე: "აგრე რათა ხარ?" გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ, თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ! ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის? ვის რათ უნდა, ლოპიანა ვინ არის? მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის? ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?

შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ! გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ, თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ! ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ, დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ! ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ! აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! — მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: "ძვირფასი ხარ!" გინდ მეძინოს, მაინც სულში

მიზიხარ, თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

1861 წ.

მუხამბაზი

არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან! ამას ვამბობ მე ბეჟანა მკერვალი, ქალებისა ლხინი და თაიგული. შვენებითა, საცა ვინ არს ქებული, მისი კარი ჩემთვის არს გაღებული; საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული. მარამა დღეს არავისთვის მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან! მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული, ბროლის მკერდზე მზის შუქი მოფენილი, “ჩემო ბეჟან!” - მისგან სინაზით თქმული, როს მაგონდეს, როგორ არ მოკვდეს გული. ესდენ ხანი მისთვისა დადაგული? ამიტომ დღეს არავისთვის მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან! ხშირად ხილვა ეშხის ძალსა გვაკლებენ. მისთვის გუშინ თუმცა სურვით მელოდნენ, მარამ, გინა ცრემლებითა აივსნენ, არც დღეს გავალ გარეთუბანს,* მომწყინდნენ: სხვა ტურფანი მარად მათ მაყვედრებენ... მარამა დღეს არცა მათთვის მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან! ვით პეპელა სხვადასხვა ყვავილისა ზედ დაჰფრინავს და ჰსვავს მათგან სუნნელსა, მეცა, ზოგთან შევექცევი სადილსა, ზოგთან ვახშამს, ხშირად ღამესაც მთელსა... ჩემს ქეიფში ვინ იყოს ამ სოფელსა?! მარამა დღეს არავისთვის მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან! ქალებზე ვარ ასე ფიქრით მოცული, ხელში ქობა დამრჩების მოუვლელი! მებლანდების თვალებში ზოგის წელი, ზოგის ხვევნა, ზოგის ალერსი ტკბილი! ნეტარ მათთან ლხინში აღმომხდეს სული! მარამა დღეს არავისთვის მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან! ბედმან დაამხო რაყიფი დიდ-კაცნი,* მარამ მე კი ისევ ის ვარ, ბეჟანი, რომელს დარჩა ბურთი და მოედანი. ახ, რა რიგად ვიჭიკუჭიკებთ დღეს ორნი! შახტი, ბეჟან, შენია დრო და ლხინი! დამეხსენით, დღეს მე არა მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან!

1833 წ.

* სადაცა ჰსცხოვრებდნენ ორბელიანი.

* კაზარმობას

ღამე

მთოვარე, აშიკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰყენდა, ნიავი სუნელთ
ყვავილთგან ჰკრეფდა და ქროლით მოჰბერდა. ბულბულიც ბუჩქში
ფარულად ვარდსა გალობით შეჰსტრფოდა, და მით გულს ცეცხლი
ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა. ვაზნი ფურცელთა გარდაშლით
ჩემზედ კამარას შეჰსდგმიდნენ. მუნ სული ჩემი და გული ეშხის მახითა
დაებნენ... ნელიად წამთ სვლა, ლოდინი მოუთმენელსა მტანჯვიდნენ, და
ვით ჯადოთი მოზიდულს, თვალნი ერთ მხარეს უმზერდნენ. ეს რამ
იელვა და განქრა? ნუთუ მაცთური ოცნება? რადა შეირყა ვარდთ ბუჩქი?
გული რად ესრედ მიკვდება? ვიდრე თვალთ ნახეს, სულმან ჰსცნა
საყვარლის მოახლოება, ჯერ თვალთ ძლივ ნახეს და მე კი მასა დაუწყე
ბაგება... ჩვენ ორთა ჰაზრნი, თვით სულნი ერთად შეერთდნენ,
შედუღდნენ, და სიტკბოების ზღვას შინა გრძნობით დამთვრალნი
შთაეფლნენ! გულთ ძგერა არღა გვესმოდა, ვერცაღას თვალნი
ხედვიდნენ, უენოდ ქმნილნი, უგონოდ განვედით ამა სოფლით ჩვენ!..
სადა ვიყავით მაშინა, რომელსა სასურველ მხარეს? ცნობა გვეკარგა წამს,
მარა სამოთხე იყო წამი ეს!.. ჰფრინვიდნენ ჟამნი და ჩვენ კი მათ ფრენა
არა გვსმენიეს: ესრედ გონება მარადის ტრფობის ალს აღუხოციეს.
მთოვარე, აშიკთ მოწამე, სიამოვნებით დაგვმზერდა! ნიავი სუნელთ
ყვავილთგან ჰკრებდა და ქროლით მოგვბერდა! ბულბულიც ბუჩქში
ფარულად ვარდსა შეჰყეფდა, შეჰსტრფოდა! და მით გულს ცეცხლი
ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა! - მაშინ ვჰსცან, ჟამნი სამოთხის რომ
ამა სოფელს არიან, მარამ, ახ, ჟამნი მის ტკბილნი ესრედ მალიად რად
ჰრბიან? გულისა სურვილთ დაცხრომას რომ არ სრულებით გვაცლიან? ეს

არს საწუხარ, რომ ბოლო თვით სიხარულსაც ჰქონიან. ცისკარმან აღმოსავალით ჟამნი განყრისა გვიჩვენა, მალიად წარსვლა მის ღამის ვიგრძენით მხოლოდ მაშინა. დღისა დავჭირევლე ნათელი, რომ ურთიერთი გაგვარნა, და განშორების ბაგება ტრფობის ბეჭედად შეგვექმნა.

1832 წ. ე — სა ვინცა გაგიცნობს, ეშვით ტანჯვას ჰსცნობს... და ვინც ვერ გიცნობს, მაშ რას კეთილს ჰსცნობს!

1832 წ.